8
603/2 6019

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 1956 წელი. № 81 (991). ფასი 30 კაპ. გამოცემის მე-18 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედი

Დახედეთ სურათს. რა დიდი სიხარულია აღბეჭდილი ბავშვების სახეზე, რომლებიც სტადიონის ერთ კუთხეში შეკრებილან და აქედან ადევნებენ თვალს თავიანთი ამხანაგების გამოსვლას ფეხბურთის მინდორზე. ეს ნორჩი გულშემატკივრები დღეს მაყურებლის როლში გამოდიან, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ბევრი მათგანი მკერდზე აიკრავს ფინიშის ლენტს, ოსტატურად გააზვევს ბურთს მოწინააღმდეგის კარის ბადეში, შეუცდომლად იმოქმედებს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე, ბეჭებით დასცემს მოწინააღმდეგეს საჭიდაო ხალიჩაზე...

ბავშვები ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის დამაგვირგვინებელი თაობაა. ჩვენს ქვეყანაში ბავშვები გარემოსილი არიან დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით. მათთვის შექმნილია წარჩინებული სწავლისა და ფიზიკური გაკაჟების ყველა პირობა.

ფიზკულტურასა და სპორტში ბავშვების მეცადინეობას სკოლაში ეყრება საფუძველი, აქ ისინი ეცნობიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, ირჩევენ თავისთვის ყველაზე საინტერესოს და რეგულარული წვრთნით იუმჯობესებენ შედეგებს. სწორედ საშუალო სკოლაში სწავლისას დაინტერესდნენ სპორტით ჩვენი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები ნ. დუმბაძე, გ. კარტოზია, რ. ჩიმიშკიანი, ნ. დვალიშვილი და სხვ., რომლებიც ვატაცებით ეუფლებოდნენ არჩეულ სპორტულ სახეობას. პირველი წარმატებები მათ შიდასასკოლო შეჯიბრებებზე მოიპოვეს, ხოლო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, არა თუ დაივიწყეს ეს წარმტაცი საქმიანობა, პირიქით, უფრო მეტი ენერგიით განაგრძეს მეცადინეობა და მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში დაიმსახურეს უძლიერესის სახელი, განადიდეს მშობლიური საბჭოთა სპორტი.

რა გამოცოცხლება იყო ლუჟნიკის საცურაო აუზში, როცა თბილისელმა მოსწავლემ ბ. ნიკიტინმა დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი და მოიპოვა სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი! სასიხარულო ამბები მოდიოდა ლენინგრადიდან, როსტოვიდან, კიროვიდან და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან, სადაც მიმდინარეობდა მოსწავლეთა საკავშირო პირველობები. აქ დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს ტანმოვარჯიშეები, ჩოგბურთელები, მოფარიკავეები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ბევრმა ნორჩმა სპორტსმენმა მოიპოვა უძლიერესის სახელი, ბევრი კი საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებები და მომავალ წელს კიდევ უფრო გავამრავლოთ ისინი, საჭიროა მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეს. როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ფიზიკური წრთობის ძირითადი ფორმა ფიზკულტურის გაკვეთილია. აქ ბავშვი ღებულობს ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას. ამიტომ უნდა დავაინტერესოთ ნორჩი თაობა, რომ იგი სიამოვნებით მოდიოდეს ფიზაღზრდის გაკვეთილზე. ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას და სპორტის რომელიმე სახეობაში სპეციალიზაციას ბავშვი იმ შემთხვევაში ღებულობს, თუ ფიზაღზრდის გაკვეთილს შეავსებს კლასგარეშე საქმიანობა — სპორტულ სექციებში მეცადინეობა, სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა. ბევრის გაკეთება შეუძლიათ სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებს.

სპორტის რეზერვის მომზადების საქმეში დიდ როლს თამაშობენ ბავშვთა სპორტული სკოლები. იქ, სადაც მაღალ დონეზეა დაყენებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, ყურადღება ექცევა სპორტსკოლების მწვრთნელთა და პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. ამ მხრივ სანიმუშოა ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე პირველ ადგილზე გამოდის საკავშირო შეჯიბრებებში.

სპორტი ჩვენი ახალგაზრდა თაობის თვითმიზანი როდია. ჩვენ ისეთი ახალგაზრდა როდი გვინდა, რომელიც მუდამ სპორტზე ფიქრობს და ძალზე ცოტას აკეთებს აკადემიური მოსწრებისათვის. ასეთი მოსწავლე უნდა ჩამოვაშოროთ სპორტულ საქმიანობას, ვიდრე იგი არ გამოასწორებს ჩამორჩენას. ბავშვთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ხელი უნდა შეუწყონ მშობლებმაც.

ჩვენი მომავალი თაობისათვის ყოველთვის ღიაა სპორტული ბაზების კარები, მათ დასტატებას დიდი გულისყურით ეკიდებიან ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილი მწვრთნელები. მაშ გაბედულად მივაშუროთ აკადემიებს, სპორტულ დარბაზებს, საცურაო აუზებს, ნორჩო სპორტის მოყვარულებო! თქვენ აქ სრულყოფილად დაეუფლებით სპორტის ამორჩეულ სახეობას.

• • •





ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# ფესტივალისათვის მზადების დღეებში

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა და გამოსცა პროგრამა მსოფლიო სპორტული თამაშებისა, რომელიც ჩატარდება მოსკოვში 1957 წლის 29 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნებიან ის ცალკეული სპორტსმენები და სპორტული კლუბები, რომლებიც ამა თუ იმ სახეობაში ნაციონალური სპორტული ფედერაციის წევრები არიან, აგრეთვე იმ სახელმწიფოთა ნაციონალური ნაკრები გუნდები, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციაში შედიან.

შეხვედრები ჩატარდება სპორტის 24 სახეობაში ვაჟებისათვის და 15 სახეობაში ქალებისათვის. პროგრამაში შეტანილია შეჯიბრებები ხელბურთში, რეგბში, შვილდისრით სროლაში, ბალახის ჰოკეიში.

განზრახულია ფესტივალის დღეებში მოეწყოს ცალკეული სპორტსმენების, ჯგუფებისა და გუნდების საჩვენებელი გამოსვლება სპორტის ნაციონალურ სახეობებში. საჩვენებელი გამოსვლების პროგრამა და განრიგი დამუშავდება მონაწილე ქვეყნებიდან განაცხადების მიღების შემდეგ. ზემოაღნიშნულის გარდა, ვაჟთა შორის 13 და ქალთა შორის 8 სახეობაში მოწყობილ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მუშათა და სტუდენტთა გუნდები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ არიან საერთაშორისო ფედერაციის წევრები.

ფესტივალზე დიდ ინტერესს გამოიწვევს მსურველთა შეჯიბრებები ნორმატივების ჩასაბარებლად ფესტივალის I და II საფეხურის ნიშანზე. ფესტივალის სპორტული ნიშნის ტარების უფლების მოსაპოვებლად საკმარისია ნორმატივების ჩაბარება ამორჩეულ 7-დან სპორტის 3 სახეობაში. ნორმატივები ყველასათვის მისაწვდომია.

ფესტივალზე ჩამოსულ ყველა ქვეყნის დელეგატებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ფრენბურთელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა მასობრივ შეჯიბრებებში ფესტივალის პრიზზე.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის დღეებში მოსკოვში გაიმართება აგრეთვე ახალგაზრდა ტურისტების საერთაშორისო შეკრება, რომელიც ორ დღეს გასტანს ქალაქგარეთ მოწყობილ ბანაკში. აქ ისინი დაისვენებენ, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, დაანთებენ მეგობრობის კოცონს, ერთმანეთს შეეჯიბრებიან წინასწარ შედგენილი მარშრუტით სწრაფვადასვლაში.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის მასობრივ-სპორტული ღონისძიებების პროგრამათა კრებული, რომელიც ამ დღეებში გამოვა, გადაითარგმნება გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და არაბულ ენებზე.

## სახალინი

იუჟნო-სახალინსკში მოეწყო სახალინისა და კურილის კუნძულების ახალგაზრდობის პირველი საოლქო ფესტივალის დასკვნითი დღესასწაული. სტადიონზე დილიდანვე ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. ფესტივალის დასკვნითი დღესასწაული გახსნა გაერთიანებულმა გუნდმა, რომელმაც შეასრულა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი და სხვა სიმღერები. მოეწყო შეხვედრები მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, ფეხბურთში.

## როსტოვი

დიდი ზეიმით აღნიშნეს ქალაქის ახალგაზრდობის ფესტივალის დასაწყისი როსტოველებმა. „დინამოს" სტადიონზე მოეწყო ფიზკულტურელთა პარადი და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები. საინტერესოდ ჩატარდა სპორტის ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები მხატვრულ ტანვარჯიშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, აკრობატიკაში. ფესტივალის გახსნის დღეს დაიწყო საქალაქო სპარტაკიადა. სტადიონზე შეკრებილთა მოწონება დაიმსახურეს ქარხანა „როსტსელმაშის" მოცეკვავეებმა და სხვა საწარმოთა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ყოველდღიურად ტარდება მასობრივი სეირნობანი, ცეკვები, სიმღერები, შეჯიბრებები.

ფესტივალის გახსნის დღე იყო არა მარტო როსტოველთა, არამედ აქ სტუმრად ჩამოსულ დაღესტნელ, ყაბარდოელ, ყუბანელ, ვორონეჟელ, სტალინგრადელ ახალგაზრდათა ზეიმიც.

## საქართველო

საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის აღსანიშნავად კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო მესამე საქალაქო ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობენ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები — სულ 100 ალპინისტი. ალპინიადის მონაწილენი ავლენ მწვერვალ ყუროზე (4.100 მეტრი) და ამავე რაიონში დაიპყრობენ უსახელო მწვერვალს (4.300 მეტრი), რომელსაც ახალგაზრდობის ფესტივალის აღსანიშნავად დაერქმევა „საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის სახელობის მწვერვალი".

# მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის

გასულ წელს სოფლად ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში კარგი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწმობებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებული არიან გამოფენის მონაწილენი: მახარაძის რაიონის მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

სამკერდე ნიშნებითა და მოწმობებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის ლელობურთელთა ნაკრები გუნდის წევრები ა. აცანელიძე, რ. ბერძენიშვილი, ა. ბურჭულაძე, გ. ბენდელიანი, გ. ჯაყელი, ს. ყარაჯაშვილი, ლ. კოტრიკაძე, გ. მეგრელიშვილი, გ. ულენტი, ტ. მდივანი, ზ. მეგრელიშვილი, ნ. მეგრელიშვილი, პ. მინდაძე, ი. მინდაძე, ა. მინდაძე, ს. სიხარულიძე, ა. სიმონიშვილი, დ. ცინცაძე, ნ. ცინცაძე და ი. ცინცაძე.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის აქტივი: კ. ამოთია, ო. ბიბილეიშვილი, ა. ვაშაკიძე, ს. ვაშაკიძე, კ. ვაშაკიძე, მ. ვაშაკიძე, ე. ვაშაკიძე, ა. გაბისონია, ა. ქუთათელაძე, ა. კოხრეიძე, ი. ლეკვეიშვილი, კ. მიქაძე, ი. სხირტლაძე და ს. სულაქველიძე.

გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული აქტივი: ვ. ვარამაშვილი, გ. დურგლიშვილი, ე. ქიტესაშვილი, ვ. და ა. რუაძეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის სახელობის მწვერვალზე

**ო. გიგინეიშვილი,**
**პამირის ექსპედიციის უფროსი.**



დილით ადრე დავტოვეთ ბანაკი და ყინულის ჩანჩქერებში შევადგით ფეხი. ხშირად ვიშველიებდით წერაყინს, ურთიერთ დაცვაზე ვდგებით ღრმა ნაპრალების პირას. საღამომდე 6-7 კილომეტრი ძლივს გავიარეთ და უკვე ისეთი დაქანცულები ვიყავით, რომ თითქოს 50 კილომეტრი მაინც გვქონდა უკან მოტოვებული. ოშანინის ქედის ძირს მაინც ვერ მივაღწიეთ, იძულებული გავხდით შუა მყინვარზე ნაპრალებს შორის გაგვეთია ღამე. სწორი ადგილი არსად იყო და კარვებისათვის ყინულში რამდენიმე ბაქანი ამოვჭერით.

25 აგვისტოს დღის 2 საათზე მივაღწიეთ საბანაკო ადგილს, რომელიც წინ წასულმა მოიერიშე ჯგუფმა შეარჩია. ადგილი აქაურ კვალობაზე შესანიშნავია. წყალიც მოჩუხჩუხებს. თუმცა ღამით ალბათ გაიყინება. ჩვენს თავზე ოშანინის ქედიდან დიდი და ლამაზი ყინვარია გადმოკიდებული, დრო და დრო ყინულის ლოდები გრუხუნით მიექანებიან ძირს. ვაკვირდებით მათი ვარდნის ტრაექტორიას და დავრწმუნდით, რომ ის ცილდება ჩვენს მიერ საბანაკოდ შერჩეულ ადგილს. ადგილის გულდასმითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ყვების ქვეშ, რომელზედაც ჩვენ გავშალეთ ბანაკი, ყინულია, მისი ზედაპირი კარგად ჩანს კარვებიდან ოციოდე მეტრის დაშორებით.

23 აგვისტოდან შედარებით კარგი ამინდი დგას. მესამე დღეა რაც ალარ მოუთოვია. ცხადია, ასეთი ამინდი დიდხანს არ გაგრძელდება. უნდა ვიჩქაროთ. ყველა ისეა დაღლილი, რომ ერთი დღის დასვენება მაინც ჭირდებათ. მოვითათბირეთ, პირველი სიტყვა მოიერიშე ჯგუფს ეკუთვნის — შეძლებენ ისინი დაუყოვნებლივ იერიშის დაწყებას თუ არა? იქნებ სხვა პირობებში პასუხი უარყოფითი იქნებოდა, მაგრამ ახლა უარის თქმა არავის მოსვლია აზრად, პირიქით ყველა მზად არის იერიშისათვის.

სწრაფად ჩალაგდა იერიშისათვის განკუთვნილი პროდუქტები. მათ მოიერიშენი ინაწილებენ თავის ზურგჩანთებში. ზურგჩანთები მძიმეა, ძალიან მძიმე, მაგრამ რა ექნათ, ან და როდის იყო მიღწეული გამარჯვება გაჭირვებათა გარეშე.

ბანაკს ორასიოდე მეტრით არის დაცილებული სათვალთვალო პუნქტი. მთელი ტვირთი იქ ავიტანეთ. შევყურებთ მწვერვალს. მისი ფერდობი ბუმბერაზ ყარაფებად ეშვება, მწვერვალის ქედი კი, რომელზედაც უნდა გაიარონ ჩვენმა მთამსვლელებმა, თავიდან ბოლომდე კლდოვანი გუშაგებით არის დაკბილული.

კიდევ ერთხელ დავთქვით შუქსიგნალები, რომლებსაც ერთმანეთს მივაწვდით ყოველდღე საღამოს 9 საათზე კინოფირის ანთების საშუალებით. ერთი განათება ნიშნავს „ყველაფერი წესრიგშია“. ორი და მეტი ვანათება—ავარიას, ასეთ შემთხვევაში მაშველი ჯგუფი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ზევით დახმარების აღმოსაჩენად. ა. ივანიშვილი უკანასკნელად აზუსტებს მომავალი ასვლის ტრასას და შესაძლებელი ღამისთევის ადგილებს.

დღის 4 საათია, გამგზავრების დროა. ყველანი იკიდებენ ზურგჩანთებს, იტვირთებიან დამხმარე ჯგუფის წევრებიც, ისინი რამდენიმე საათის სავალზე გააცილებენ მოიერიშეებს და ისევე მობრუნდებიან. ვემშვიდობებით. ხელს ვართმევთ სათითაოდ მიტოს, ჯუმბერს, ლევანს, ზურაბს, თეიმურაზსა და რეზოს. გზა მშვიდობისა, ამხანაგებო, დარი და გამარჯვება იყოს თქვენი თანამგზავრი ძნელ და სახიფათო გზაზე!

მწვერვალს თავზე ღრუბელი ეხვევა, ღრუბლის ქულები ტრიალებენ პეტრე პირველის ქედის თხემებზე, მაგრამ მარადი თოვლის სამყაროში სიწყნარეა, ქარი არ ქრის, მიდამო მხოლოდ მზის სხივებს აირეკლავს და თვალის მომჭრელად ბზინავს.

26 აგვისტოს დილით მობრუნდა დამხმარე ჯგუფი. ორნი—ვ. წიკლაური და ს. გამრეკელი, კინოოპერატორებთან ბ. კრიპსთან და ი. ამასიისკისთან ერთად დარჩებიან საიერიშო ბანაკში. აქვე დარჩება ექიმი გ. ციხნაძე, დანარჩენები დაეშვებიან ძირითად ბანაკში, რომ კვლავ ამოიტანონ ტვირთი.

წინასწარ შედგენილი გვქონდა მწვერვალზე ასვლის რამდენიმე ვარიანტი. მათ შორის ორი იყო ძირითადი — ერთი დასავლეთის, მეორე ჩრდილოეთის თხემით. როდესაც მწვერვალი შევათვალიერეთ, მიზანშეწონილად ვცანით ასვლა დასავლეთის თხემით. მთავარი იყო ის, რომ ეს თხემი შედარებით ახლოს იყო საიერიშო ბანაკთან. თხემზე გადიოდა ყინულის კედელი, რომელიც სიმაღლით ათას მეტრს აღემატებოდა. კედლის დაქანება დიდი იყო, რამდენიმე ადგილას ბერგშრუნდი (მთის ძირა ნაპრალი) მისდევდა გარდიგარდმო, კედლის შუაწელზე საკმაოდ დიდი ბაქანი საშუალებას იძლეოდა, რომ იქ გაჩერებულიყვნენ ღამისათევად.

მოიერიშე ჯგუფმა ღამე კედლის ძირას გაატარა და 26 აგვისტოს დილიდან შეუდგა მის დაძლევას. უკვე კედლის პირველმა მონაკვეთმა მოითხოვა დიდი ენერგია. ხოლო სიმაღლესთან ერთად მატულობდა სიძნელეებიც. რაც მთავარია კლებულობდა ჟანგბადი. მიდიოდნენ ორ თოკზე გადაბმულები (თვითეულზე სამ-სამი). განსაკუთრებით ძნელდებოდა მოძრაობა, როდესაც ბერგშრუნდებს გადადიოდნენ. რამდენიმე ადგილას დააჭედეს პალოები, ხშირად ჭრიდნენ საფეხურებს. დღის 5 საათზე ჯგუფმა მიაღწია კედლის შუა წელს. დაღამებამდე კიდევ იყო რამდენიმე საათი და ჯგუფს შეეძლო ამ დარჩენილი დროის გამოყენება, მაგრამ კედლის თავზე გასვლას ვერ მოასწრებდა, გზაზე დასასადგურებელი ალაგიც არსად იყო.

27 აგვისტოს კვლავ შეეჭიდა ექვსეული ყინულის კედელს, კვლავ გახდა დასაძლევი რამდენიმე ნაპრალი, ზოგზე გადავიდნენ, ზოგს შემოუარეს, ხშირად ხვდებოდათ ქვასავით მაგარი ნადნობი შავი ყინული. აქ უკვე წერაპიც ვერ იკიდებდა კბილებს. ასეთ ადგილებში ათკეცდებოდა ყურადღება. ერთი, სულ მცირე შეცდომითი მოძრაობა და ყინულის კედელზე დაგორება ერთი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ასეთ ყინულში დაჭედებული პალოც არ არის საიმედო — ადვილად ამოვარდება. ამიტომ პალოებთან ერთად ერთმანეთს მხარზე გადავდებული თოკითაც იცავდნენ.

იერიშზე წასულ ჯგუფს თავისი იმედი ჰქონდა. დ. ობოლაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი და ზ. ახვლედიანი უკვე იყვნენ დაცდილნი სიმაღლეზე. რ. ხაზარაძესა და თ. კუხიანიძეს ჯერჯერობით არ ეტყობოდათ სიმაღლის გავლენა. იყო ყველა ნიშანი იმისა, რომ ისინი თავისუფლად აიტანდნენ მწვერვალ მოსკოვის სიმაღლეს. სხვა რამ აწუხებდა მოიერიშე ჯგუფს, ეს იყო ის, რაც გვაწუხებდა ჩვენც, საიერიშო ბანაკში დარჩენილებს, და ასევე აწუხებდა დამხმარე ჯგუფს, რომელიც ძირითად ბანაკისაკენ ეშვებოდა — ეს იყო ამინდი. 27 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში პეტრე პირველის ქედის გადაღმიდან ავდრის ღრუბლებმა წამოყვეს თავი. საღრანის ხეობის ბოლოშიც მწვერვალები დაინისლა ისე, რომ ავდრით გვემუქრებოდა. სათვალთვალო პუნქტიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ გავიდა ჯგუფი კედლის თავზე და თხემს მიეფარა.

დილით ამინდმა გვიღალატა, ხეობის ქვევიდან საკმაოდ მკვრივი ღრუბლები დაიძრა, ჩვენი კარვიდან კარგად ჩანს, თუ როგორ თოვს ქვევით ყინვარზე. მწვერვალიც დრო და დრო ნისლებში ეხვევა და ეტყობა, რომ ზევით ძლიერი ქარია. ჯგუფი არსად ჩანს. მართლაც, ძლიერი ქარბუქი არ აძლევდა მას კარვებიდან გამოსვლის საშუალებას. 29 აგვისტოს ამინდი ოდნავ გაუმჯობესდა, ქარბუქი ისევ ქროდა. მოიერიშე ჯგუფი კლდოვანი თხემის დასაწყისში იმყოფებოდა, სწორედ თხემის პირველი დიდი გუშაგის ძირას. ვუშაგი საკმაოდ ძნელი დასაძლევი გამოდგა. კლდე ფიქლებისაგან შედგებოდა, ძალიან ადვილად იშლებოდა, საყრდენები არ იყო საიმედო. მით უმეტეს, რომ გუშინდელი ავდრის შემდეგ საკმაოდ ბევრი მოთოვა და კლდის ყველა უსწორმასწორობა, სადაც ხელის მოკიდება ან ფეხის დადგმა იყო შესაძლებელი, თოვლით იყო ამოვსებული. ხელიც და ფეხიც საშინლად ცურავდა. ერთ-ერთი შესაძლებელი გზა ფართო კლდოვან ნაპრალს — ბუხარს მიჰყვებოდა. მასზე გავლა შეიძლებოდა მხოლოდ გულდასმითი დაცვით, პალო კი ცუდად ეჭედებოდა ფიქლებში. 29 აგვისტოს მეორე ნახევარი დაჭირდა გზის მომზადებას—პალოების დაჭედებას და თოკების გაბმას. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი გუშაგი იყო იმ უთვალავი გუშაგებიდან, რომლებიც იდგნენ თხემზე. თხემზე გუშაგების გადასვლით სიარული მოითხოვდა ძალიან დიდ დროს. დრო კი არ იყო, წინსვლას არ დააცლიდა ჯგუფს არც ამინდი. შედგა თხემის ვავლის ახალი გეგმა — გუშაგების მწვერვალებისათვის გვერდის ავლა, მათ ფუძესთან ირიბად გადაკვეთა. ეს მოითხოვდა რამდენადმე ნაკლები დროის დახარჯვას, სამაგიეროდ იყო ბევრად უფრო საშიში. ვამარჯვებას მხოლოდ მაღალი სპორტული ოსტატობა მოიტანდა. 30 აგვისტოს ამინდი ისევ იძლეოდა იმედს, მაგრამ მისი ალარავის არ ჯეროდა. ამ დღეს წყდებოდა ასვლის წარმატების ბედი. ჯ. მეძმარიაშვილი და ზ. ახვლედიანი ბუხრით აცოცდნენ გუშაგის წვერზე. იქიდან კარგად ჩანდა მთელი თხემი, გუშაგების გრძელი რიგი და თოვლიანი ლარი, რომელიც ეშვებოდა მწვერვალის გვირჯვინიდან. თუ კი ჯგუფი დღის ბოლოს მიაღწევდა ლარს, მაშინ მეორე დღეს არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი მწვერვალის იერიში. ლართან მისასვლელად მოიერიშეებს უნდა გაევლოთ თხემის ძირითადი ნაწილი და დაეძლიათ უძნელესი გუშაგები. ეს იყო თითქმის წარმოუდგენელი ამოცანა, მაგრამ გამარჯვების ერთადერთი პირობა.

დაიწყო ბრძოლა გუშაგებთან. საშინლად იღლებოდა ხელები, იქანცებოდა ფეხის კუნთები, კლდის საყრდენებზე გადგმულ ფეხებს შორის მზერა უფსკრულს ეკიდებოდა. იქ, სადღაც შორს, ჩანდა ნაპრალების წვრილი ზოლები. სიჩუმეს მხოლოდ პალოს დაჭედებისას ჩაქუჩის კაკუნი არღვევდა ან მოწყვეტილი და უფსკრულისაკენ გადაფრენილი ქვის შხუილი. არავინ ლაპარაკობდა. ერთმანეთს მხოლოდ ორიოდე სიტყვით აფრთხილებდნენ ან და საერთოდ უსიტყვოდ ანიშნებდნენ თუ რაიმე იყო საჭირო. პირველ ხანებში კიდევ არაფერი, მაგრამ, როდესაც დაღლილობამ იმატა, მკერდს თითქოს ლოდები დააწვა, სუნთქვა შეიკრა, უგონებლობამ გამოიწვია ჰაერის საშინელი წყურვილი, ჰაერი კი თოვლი ან ყინული არ იყო, რომ გაედნოთ და დაელიათ. ყველაფერი უკიდურესობამდე დაიძაბა — კუნთებიც, გონებაც, თავში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებდა — რაც შეიძლება წინ და რაც შეიძლება სწრაფად.

იმ დღეს გადაწყდა მწვერვალის ბედი. ჯგუფმა მიაღწია ლარს. ღამით ამინდი ისევ აირია, ხოშკაკალა მთელი ღამე როკავდა კარვის ფერდებზე და ქარი აგლეჯით ემუქრებოდა. სიმაღლე ახლოს იყო 6.500 მეტრთან და ჰაერის წყურვილი განუწყვეტლივ მატულობდა.

დილით ამინდი არ გამოკეთდა, არჩევანი კი აღარ იყო—ან წინ, ან უკან. წავიდნენ წინ, ლარში—შედარებით ადვილი იყო მოძრაობა, ვინემ გუშაგებზე, მაგრამ საშიშროებას არ მოუკლია — ახალ დანათოვზე მოსალოდნელი იყო ზვავი.

რ. ხაზარაძე და თ. კუხიანიძე დაუღალავად მოჰყვებოდნენ თავის გამოცდილ ამხანაგებს. როგორც გასულ წლებში, კვლავ შესანიშნავი იყვნენ დ. ობოლაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. და ზ. ახვლედიანები. ლარი მიადგა მწვერვალის დათოვლილ გვირგვინს და დიდი დაქანების თოვლიან ფერდად იქცა. ქარი წვავდა სახეს, სიცივე შეკელტონებშიც კი ატანდა, ფეხის თითებს წვავდა.

მწვერვალი, მოსკოვის სახელობის მწვერვალი ახლოვდებოდა, ადამიანი პირველად ადგამდა ფეხს ამ ადგილებს.

აღმართმა რაღაც უცბად იკლო. წუთიერად გავაკდა და დაღმართი დაიწყო.

მწვერვალი!

* * *

1 სექტემბერს ღამით ვარსკვლავი არ დაგვენახა, ჯგუფთან კავშირი გაწყვეტილი გვქონდა, ყოველ ღამით ნისლი იდგა და შუქსიგნალებით ერთმანეთს ვერ ვუკავშირდებოდით. კვლავ ვდგავართ სათვალთვალო პუნქტზე, ყინულის გორაკის კენწეროზე ავედით. მწვერვალზე ნისლმა გადაიყარა და თოვლზე ნაკვალევი დავინახეთ. მოდიან! მაგრამ არ ვიცოდით, თუ როგორ. ვუცდით, საათი საათს მისდევს და ჯერ არ ჩანან. როგორც იქნა გამოჩნდნენ, დიდხანს მოდიოდნენ ისე, რომ ვერ გვხედავდნენ. ბოლოს შეგვამჩნიეს, შეჩერდნენ, ვიღაცამ წერაყინი ასწია ზევით — გამარჯვების ნიშანი...

გასაგებია! — მწვერვალი აღებულია!

* * *

ასვლამ მოსკოვის სახელობის მწვერვალზე კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის გუნდის ტექნიკისა და ტაქტიკის შემდგომი გაუმჯობესება. მიღწეულ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ექსპედიციის ყველა რგოლს, ექსპედიციის უფროსის მოადგილეს ა. ივანიშვილს, რომელმაც მოამზადა ექსპედიცია და უზრუნველყო მისი წარმატებით მუშაობა, დამხმარე ჯგუფის წევრებს ი. წიკლაურს (ჯგუფის უფროსი), გ. მაჭარაშვილს, ს. გამრეკელს, ი. ახვლედიანს, ჯ. დარსაველიძეს, გ. ახმეტელაშვილს, ისევე როგორც მოიერიშე ჯგუფს დ. ობოლაძეს (ჯგუფის უფროსი), ჯ. მეძმარიაშვილს, ლ. ახვლედიანს, ზ. ახვლედიანს, რ. ხაზარაძესა და თ. კუხიანიძეს, რომლებმაც წარმატებით დააგვირგვინეს ექსპედიციის მუშაობა.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** მწვერვალის დამპყრობნი. მარცხნიდან — რ. ხაზარაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, დ. ობოლაძე, თ. კუხიანიძე, ზ. და ლ. ახვლედიანები.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 78, 79, 80.

„ლ ე ლ ო“
30-2 ვ. № 81 (991).

# საქართველოს პირველობა

30 სექტემბერს შედგა ოთხი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

თბილისში ითამაშეს 26 კომ. სახ. რაიონისა და ყვარელის „კოლმეურნის“ ფეხბურთელებმა. შეხვედრა დაიწყო სტუმრების შეტევით, რომლებმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს თბილისელთა კართან, მაგრამ თავდამსხმელთა დარტყმები არ იყო ზუსტი. შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

* * *

მახარაძეში ადგილობრივი „კოლმეურნე“ შეხვდა სოხუმის „დინამოს“. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ დინამოელებმა კარგად გამოიყენეს ერთ-ერთი შეტევა და საპასუხო ბურთი გაიტანეს.

შესვენების შემდეგ ხელით თამაშისათვის სოხუმელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ანგარიში გახდა 2:1 „კოლმეურნის“ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. დარჩენილ დროში მახარაძის გუნდმა დამატებით ორი ბურთი გაიტანა, საკუთარ კარში ერთი მიიღო და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2.

* * *

ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მიიღეს თბილისელი თანაკლუბელები და დაამარცხეს ისინი ანგარიშით 2:0.

* * *

რუსთავის „მეტალურგისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუტანია. მეორე ტაიმში სტუმრებმა გაიტანეს ბურთი, რომელიც მეტალურგებმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან გაქვითეს. უკანასკნელ წუთებში მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში გაახვიეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 2:1.

მაყურებელთა გულისწყრომა გამოიწვია „ტორპედოს“ მოთამაშეთა უდისციპლინობამ. აქ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მათმა კაპიტანმა დ. თედიაშვილმა. იგი დაუსრულებლივ ეკამათებოდა და უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდა მსაჯს. „ტორპედოს“ გუნდის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს მთელი კოლექტივისა და განსაკუთრებით გ. თედიაშვილის უმსგავსო მოქმედებიდან.

# დილმის ველზე



...ვასულ კვირას დილმის მიდამო... ებში მოეწყო მოტოკროსი ქალაქის პირველობაზე. სრულ 12 საათზე სტარტი მიეცა 350 და 750 კბ. სანტიმეტრის კლასის მოტოციკლებს. ...ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგ... დოსააფის წარმომადგენელმა თ. ჩხაიძემ, რომელსაც 15 მეტრით უკან მოსდევდა დინამოელი თ. ...ლიბაშვილი. პირველი დაბრკოლება (ჟამბი) დინამოელმა სწრაფად გადალახა და კროსს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ ერთი წრე არც კი ჰქონდა მას გავლილი, როდესაც მანქანის დაზიანების გამო შეწყვიტა ბრძოლა პირველობისათვის.

პირველი წრე ყველაზე სწრაფად დაამთავრა ჩხაიძემ. მას მოჰყვა დინამოელი ბეჟიაშვილი. ერთხანს რბოლის ლიდერი ბეჟიაშვილიც გახდა, მაგრამ ჩხაიძემ კვლავ გაუსწრო მას. გამარჯვება 350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებში წილად ხვდა ჩხაიძეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ბეჟიაშვილი, მესამეზე — ს. სტეპანოვი (დოსააფი).

750 კბ სმ მოტოციკლებით რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა ე. პოლოზენკომ (საბჭოთა არმია), მეორე ადგილზეა ვ. გვერდწითელი („დინამო"), მესამეზე — გ. შარაფიანი (დოსააფი).

ქალები 125 კბ სმ კლასის მოტოციკლებით პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს ოთხ წრეზე. აქ მანქანის დაზიანების გამო შეჯიბრებიდან გამოვიდა დინამოელი ვ. ბარასევა. რბოლა მოიგო დოსააფელმა კ. ლონლაძემ. ამავე კუბატურის მოტოციკლებით ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ა. კაფაროვი. ეტლიანი მოტოციკლებით რბოლა მოიგო ე. სარქისოვმა (დამხმარე ვ. შპაგინი). გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა „დინამომ".

**ა. გუნია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



სურათზე: რბოლის ტრასაზე.

# მეგობრობის ძალა

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ...ართოდ აღნიშნეს მოძმე ჩინელი ...ალხის დიდი ეროვნული დღესასწა...ული — ჩინეთის სახალხო რესპუბ...ლიკად გამოცხადების მე-7 წლის...თავი.

1949 წლის 1 ოქტომბრიდან პირ...ველად თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩინეთის მშრომელი ხალხი, დაამსხვრია რა იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალიზმის ბორკილები, თვითონ გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი და შეუპოვარი ...ერგიით შეუდგა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების შენებას, ქვეყნის ...ოიად სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნებს. ის, რაზეც ოცნებობდნენ და რაც სურდათ ...ველ ჩინეთში, ახლა აღსრულდა, ...ეალობად იქცა.

...თავის გმირულ შემოქმედებით შრომაში გმირი ჩინელი ხალხი ემყარება საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებას, მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების სიმპათიებსა და მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, მაგრამ ეს ...რობა არასოდეს არ ყოფილა ისე ...ახლოებელი, მტკიცე და ურყევი, როგორც დღესაა.

...უკანასკნელ წლებში განუხრელად ...ართოვდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სპორტსმენთა კავშირი. „ჩვენი უფროსი ძმები საბჭოთა კავშირიდან", — ასე უწოდებენ ჩინელი სპორტსმენები თავის საბჭოთა მეგობრებს.

საბჭოთა სპორტსმენების გულითადი, ცხოველმყოფელი მეგობრობა უდიდეს გავლენას ახდენს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ეს გავლენა ყოველდღიურად უფრო საგრძნობი ხდება. ჩინეთის რესპუბლიკის ჩემპიონი ცურვებით ჩქაროსნულ რბენაში ჩუენ ...ხუნ-დაო გაზეთ „ცინიანბაოს" ფურცლებზე წერდა: „რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება დაძაბულ ბრძოლაში მოვიპოვე და ამ წარმატებას დიდად ...უმადლი საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებთან ერთად ვარჯიშის ბედნიერებაც მე მხვდა წილად. მათი სპორტული ბრძოლების გამოცდილება ბევრ რამეში დამეხმარა და ...ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი, უფრო გულდასმით ვისწავლო საბჭოთა სპორტსმენებისაგან".

ჩინელ მეგობრებს გულღია სტუმართმოყვარეობით, ალალი სიყვარულით ხვდებიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში. საბჭოთა სპორტსმენები, მწვრთნელები მათ ხალისით გადასცემენ ცოდნასა და გამოცდილებას, ეხმარებიან სპორტული მაჩვენებლების ამაღლებაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული დელეგაციები იყვნენ საქართველოში. აქაც ბევრი რამ შეიძინეს და ისწავლეს ჩინელმა კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა...

ძველთაგანვე აღიარებულია, რომ ჩინელი ხალხი გამოირჩევა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით, მაგრამ იგი ყველაზე უფრო გულიად ხვდება „თავის უფროს ძმებს" — საბჭოთა ხალხის წარგზავნილებს. ასე გულთბილად მიიღეს ჩინელმა სპორტსმენებმა საბჭოთა მძლეოსნები, ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები, მსროლელები.

საბჭოთა სპორტის მოწინავე გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩვენი მწვრთნელების, სპორტსმენების პრაქტიკული დახმარებით მასობრივ-ფიზკულტურულმა და სპორტულმა მოძრაობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1954 წელს შემოღებულ იქნა კომპლექსი „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის", რის შედეგადაც განუსაზღვრელად გაიზარდა სპორტში რეგულარულად მომეცადინეთა რიცხვი. კომპლექსის შემოღებიდან მარტო პირველ ექვს თვეში მის ნორმატივები ჩააბარა ასიათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

ჩინელ სპორტსმენთა ოსტატობა ძალზე სწრაფად მაღლდება. ბევრი მათგანის სახელს სულ უფრო ხშირად შეხვდებით მსოფლიო სარბიელზე ფართოდ ცნობილი სპორტსმენების გვერდით. ჩინელი სპორტსმენები სისტემატურად აუმჯობესებენ თავისი ქვეყნის რეკორდებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიო კლასის შედეგებსაც აჩვენებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1936 წლიდან 1948 წლამდე ჩინელმა მძლეოსნებმა მხოლოდ შვიდჯერ გააუმჯობესეს თავისი ქვეყნის რეკორდი, ხოლო სახალხო ხელისუფლების დამყარების მარტო პირველი ორი წლის მანძილზე 72 შესწორება შეიტანეს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში. ჩინეთის სპორტი გაბედულად გამოდის საერთაშორისო სარბიელზე და ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევს. ჩინეთის ახალგაზრდა რესპუბლიკამ სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში და ენერგიულად ამზადებს ნაკრებ გუნდებს ამ დიდი ასპარეზობისათვის.

19.5 წლის 2 ოქტომბერს, ეროვნული დღესასწაულის მეორე დღეს, პეკინში საზეიმოდ გაიხსნა სრულიად ჩინეთის პირველი სპარტაკიადა, რომელიც რესპუბლიკის მზარდი სპორტული ძალების ნამდვილი დათვალიერება იყო. სპარტაკიადის მსვლელობაში დამყარებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 რეკორდი: 4 — მძლეოსნობაში, 3 — ძალოსნობაში და 3—ველოსპორტში.

ჩინელ სპორტსმენთა შესანიშნავი მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული სპორტის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუღალავ მზრუნველობაზე. სპორტსმენებს თავის განკარგულებაში აქვთ კეთილმოწყობილი სტადიონები, საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები. გასულ წელს მუყონში ჩადგა ჩუნცინის ზამთრის სტადიონი, საუცხოო საცურაო აუზები კანტონსა და ტიანძინში. პეკინში აშენდა ფიზკულტურის სასახლე, რომელიც შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს. მასში მოთავსებულია ტანვარჯიშული დარბაზი, საცურაო აუზი 8 ბილიკით. ცენტრალური კორპუსი წარმოადგენს 23 მეტრი სიმაღლის ვეებერთელა დარბაზს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები დაფარულია სპორტული ბაზების ფართო ქსელით. მარტო ქალაქ შანხაიში არის კალათბურთის 828, ფეხბურთის 112, ფრენბურთის 235 მოედანი, დახურული სტადიონი, ცენტრალური სტადიონი 60.000 მაყურებლისათვის, 39 საცურაო აუზი, ამათგან 11 დახურული, ხოლო 4 წყლის გასათბობი მოწყობილობით. კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები არის აგრეთვე პეკინში, მუკდენში, დალნსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

სპორტში მეცადინეობა ჩინელი ახალგაზრდობის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცა. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს კალათბურთი და ფეხბურთი. კალათბურთის მოედნებს აქ ყველგან შეხვდებით — პარკებში, სტადიონებზე, ეზოებში, მინდვრად. თამაშობენ როგორც ახალგაზრდები, ისევე ხანშესულები. ათიათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მეცადინეობს ცურვის სექციებში.

გომინდანელთა ბატონობის დროს სპორტის ეროვნული სახეობები მივიწყებული იყო, ხოლო მონღოლური ჭიდაობა — აკრძალული. ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა სპორტის ეროვნულ სახეობათა აღორძინებასა და განვითარებას. სახალხო სპორტის აყვავების ნათელი დემონსტრაცია იყო სრულიად ჩინეთის შეჯიბრებები, რომლებიც გაიმართა ტიანძინსა და დალნში. საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი დალნში მოწყობილ შეჯიბრებაზე: 74 წლის მოხუცი ლი ლაო-სანი ჩინეთში ცოტათაგან ერთ-ერთია, რომელსაც შეუძლია შეასრულოს აკრობატული ცეკვა „გარეული მტრედი". მიუხედავად ხანდაზმულობისა, ლი ლაო-სანი შორიდან ფეხით ჩამოვიდა დალნში, რომ ახალგაზრდობისათვის გაეზიარებინა თავისი ოსტატობა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს სპორტი ჩინელ მშრომელებში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები თამამად გამოდიან საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. მსოფლიოს სპორტული მწვერვალებისაკენ შეუპოვრად იკაფავს გზას 600-მილიონიანი გმირი ხალხის დიდი სპორტული მომავალი.

**ა. ხუჭუა.**

# დინამოელთა შეჯიბრება

ლენინგრადში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობის გათამაშება ჭიდაობა სამბოში. მონაწილეობდა 20 გუნდის 200-ზე მეტი სპორტსმენი.

გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე საქართველოს და მოსკოვის სპორტსმენები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის (მამაცაშვილი, მაზიაშვილი, შინჯიკაშვილი) სუსტმა გამოსვლამ მოსკოვის გუნდს საშუალება მისცა ჩამოეტოვებინა საქართველოს ნაკრები 2,5 ქულით. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ძლიერად ჩაატარეს საქართველოს სამბისტებმა ბრძოლა პირადი პირველობისათვის. უმჩატეს წონაში ინასარიძემ, მოუგო რა გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოველ სპორტის ოსტატ გალიმოვს, გავიდა ფინალში. აქ მან მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა კუიბიშეველ პესოტსკისაგან და მეორე ადგილი დაიკავა. ქვემსუბუქ წონაში სპორტის ოსტატმა ა. ნინიაშვილმა ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო და საპატიო პირველი ადგილი დაისაკუთრა. მსუბუქ წონაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ჩვენი გუნდის წარმომადგენელმა ს. გაბარაევმა. ქვემძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ქარქუსაშვილი და დაუშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ქარქუსაშვილმა წააგო შეხვედრა, იგი მაინც პირველ ადგილზე გამოვიდა. დაუშვილს წილად ხვდა მეორე ადგილი.

მეორე ადგილები დაიკავეს ვ. მარიამულმა (ქვესაშუალო წონაში) და დ. ჩაჩანიძემ (საშუალო წონაში).

**ქ. ნინიაშვილი**
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### „ა" კლასი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 3 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 19 | 12 | 4 | 3 | 58:25 | 28 |
| „დინამო" მ. | 21 | 10 | 8 | 3 | 44:24 | 28 |
| ცდსა | 20 | 10 | 5 | 5 | 40:28 | 25 |
| „დინამო" კ. | 18 | 6 | 9 | 3 | 24:19 | 21 |
| „ბურევ." | 20 | 8 | 4 | 8 | 32:44 | 20 |
| „ტორპედო" | 20 | 6 | 7 | 7 | 35:35 | 19 |
| „შახტიორი" | 20 | 6 | 7 | 7 | 28:37 | 19 |
| „დინამო" თბ. | 20 | 7 | 4 | 9 | 38:41 | 18 |
| „ზენიტი" | 20 | 3 | 11 | 6 | 21:39 | 17 |
| „ლოკომოტ." | 20 | 4 | 8 | 8 | 31:26 | 16 |
| ოფ. სახლი სვ. | 20 | 5 | 4 | 11 | 25:40 | 14 |
| „შრ. რეზერვ." | 20 | 3 | 7 | 10 | 24:42 | 13 |

* * *

**ლენინგრადი.** აქ ითამაშეს ადგილობრივმა „ზენიტმა" და ცდსა-მ. შეხვედრა მოიგეს არმიელებმა —5:1.

* * *

**სვერდლოვსკი.** ერთმანეთს შეხვდნენ ოფიცერთა სახლისა და კიევის „დინამოს" გუნდები. მატჩის ანგარიშია 1:1.

---

**ლენინგრადი.** აქ ითამაშეს „შრომითი რეზერვების" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა. მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 4:1.

---

## საერთაშორისო შეხვედრები

სტალინოს „შახტიორის" ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ჩავიდა ნორვეგიაში. ამას წინათ სტუმრებმა ითამაშეს „ფრიგისა" და „ბიფის" კლუბების ნაკრებთან. შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდნენ ნორვეგიელი ფეხბურთელები — 3:2.

* * *

კრაკოვში ითამაშეს აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „დინამომ" და პოლონეთის გუნდმა „გვარდია-ვისლამ". შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა — 5:2.

---

## თბილისის „დინამოს" გამგზავრება

ბულგარეთის „დინამოსა" და სახალხო არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელებთან მატჩის ჩასატარებლად დღეს მოსკოვიდან ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაემგზავრა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი.

---

## ფეხბურთი

30 სექტემბერს სტალინგრადში, ვორონეჟსა და კუიბიშევში შედგა რამდენიმე შეხვედრა „ბ" კლასის მეორე ზონის გუნდებს შორის. ვორონეჟში ითამაშეს ადგილობრივმა გუნდმა და თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებმა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" თავის მოედანზე შეხვდა ერევნის „სპარტაკს". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1.

სტალინგრადის „ტორპედომ" ითამაშა ბაქოს „ნეფტიანიკის" გუნდთან. ამ შეხვედრაშიც ფიქსირებული იქნა ფრე — 0:0.

გათამაშების ცხრილში კვლავ პირველ ადგილზეა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", რომელსაც 27 თამაშიდან 43 ქულა აქვს. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა მოაგროვა 42 ქულა (26 თამაშიდან), მესამე ადგილზეა ერევნის „სპარტაკი" — 36 ქულა (26-დან), მეოთხეზე — ბაქოს „ნეფტიანიკი" — 31 ქულა (26-დან).

„ლელო"
მე-3 გვ. № 81 (991)

## „ერთა ტურნირის“ შედეგები




XII საჭადრაკო ოლიმპიადა დამთავრდა. ჭადრაკის მოყვარულებს „შვებულება“ მიეცათ, თუმცა მეტად მცირე ხნით, რადგან 7 ოქტომბერს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება არანაკლებ საინტერესო ღონისძიება — გენიალური რუსი მოჭადრაკის ალექსანდრე ალიოხინისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თანამედროვეობის თითქმის ყველა წამყვანი გროსმაისტერი მიიღებს მონაწილეობას.

„ერების ტურნირის“ დასაწყისში როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნებული ჭადრაკის მრავალი სპეციალისტის პროგნოზით, საბჭოთა კავშირის გუნდს კვლავ გამარჯვება უნდა მოეპოვებინა. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. ჩვენი გუნდი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სამაგიეროდ მოულოდნელი იყო ის დიდი წინააღმდეგობა, რომელიც მას გაუწიეს საზღვარგარეთის გუნდებმა. გასულ წლებთან განსხვავებით ძლიერად გამოიყურებოდა იუგოსლავიის გუნდი — IX ოლიმპიადის ჩემპიონი. იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაცია სწორად მოიქცა, როდესაც გუნდში შეიყვანა ახალგაზრდა გროსმაისტერები ალექსანდარ მატანოვიჩი და ბორა ივკოვი. მათ იუგოსლავიის ჩემპიონ სვეტოზარ გლიგორიჩთან ერთად შეადგინეს ის „დამკვრელი სამეული“, რომელმაც გუნდის დიდი წარმატება განაპირობა. ამ გროსმაისტერებთან ერთად გუნდს მრავალი ქულა მოუტანეს ახალგაზრდა ოსტატებმა კარაკლაიჩმა, მილიჩმა და ჯურაშევიჩმა. II ადგილი იუგოსლავთათვის უდავოდ დიდი წარმატებაა.

მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა — უნგრელ მოჭადრაკეთა კოლექტივმა III ადგილი დაიკავა, თუმცა შეეძლო უკეთესად ეთამაშა. აქ სერიოზული როლი შეასრულა უნგრეთის ჩემპიონ ბარცას დამარცხებამ ბოლო ტურში, რის შედეგადაც მან დაჰკარგა სპეციალური ჯილდო II ადგილისა და საუკეთესო თამაშისათვის, ხოლო, რაც მთავარია, გუნდმა — მეორე ადგილი.

წარუმატებლად გამოვიდა არგენტინის გუნდი (IV ადგილი), გუნდის ლიდერი ნაიდორფი, რომელიც მეტად ენერგიული სტილის მოჭადრაკეა, ამჯერად არათანაბრად თამაშობდა. ბოტვინიკთან ნათამაშები პარტიის გვერდით, იგი ზოგჯერ პასიურად თამაშობდა. ისლანდიის ახალგაზრდა ჩემპიონ ოლაფსონთან ნაიდორფი დამარცხდა წინააღმდეგობის გაუწევლად. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო პანოს წარუმატებლობა. ამ ახალგაზრდა გროსმაისტერმა სახელი გაითქვა, როგორც პოზიციური სტილის შესანიშნავმა მოჭადრაკემ და შარშან სტოკჰოლმში ყველა განაცვიფრა თავისი შედეგით. ამჯერად იგი სისტემატურად ცაიტნოტში იყო და აგებდა კარგად გათამაშებულ პარტიებს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პანო (საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი) იშვიათად მონაწილეობს დიდ ტურნირებში, რაც მის ზრდას აბრკოლებს. არგენტინის გუნდში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 23 წლის რაულ სანგინეტიმ, რომელმაც სპეციალური ჯილდო მიიღო.

ოლიმპიადაზე ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკე დაწინაურდა, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 21 წლის ბენტ ლარსენი (დანია). ამ უაღრესად თავისებური სტილის მოჭადრაკემ ყურადღება მიიპყრო უკვე ნახევარფინალის პირველ ტურში, როდესაც გროსმაისტერ გლიგორიჩთან შეხვედრაში მნიშვნელოვნად გაამდიდრა ცნობილი თეორიული ვარიანტი.

ტურნირზე ყურადღება მიიპყრეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ოლაფსონმა (ისლანდია), პადევსკიმ და ტრინგოვმა (ბულგარეთი), ულმანმა და დიტმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და სხვებმა.

**ბ. ბამრეკელი**

სურათზე: რუმინელ ი. ჩოკილტიასა და საბჭოთა მოჭადრაკე ვ. სმისლოვის შეხვედრა.

## „ბურევესტნიკის“ სპარტაკიადა

ქალაქის სპორტულ ბაზებზე ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა „ბურევესტნიკის“ პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა განათლების პროფკავშირთა გუნდი 7.879 ქულით. მეორეზეა უმაღლესი სკოლების მუშაკთა ნაკრები კოლექტივი. ცურვაში ყველას აჯობეს სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კავშირგაბმულობის მუშაკები.

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე მიმდინარეობდა პირველობა ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთელთა ფინალურ თამაშებში ქალთა შორის ერთმანეთს ხვდებოდნენ ავტოტრანსპორტისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირების ნაკრებები. ამ შეხვედრაში გამარჯვება და პირველობა მოიპოვეს ავტოტრანსპორტის გუნდის წევრებმა. ვაჟთა გუნდებს შორის პირველობისათვის იბრძოდნენ უმაღლესი სკოლებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა კოლექტივის წევრები. ჩემპიონის სახელი მოიპოვა უმაღლესი სკოლების გუნდმა.

კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში 4 გუნდი მონაწილეობდა, შეჯიბრება წაუგებლად დაამთავრა უმაღლესი სკოლების ნაკრებმა გუნდმა. ერთი წაგებით მეორე ადგილზე გავიდა განათლების მუშაკთა კოლექტივი. ვაჟთა შორისაც ამ პროფკავშირს დარჩა პირველობა.

ჰანდბოლში მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ნახევარფინალურ ჯგუფებად, რომელთა შორის გამარჯვებულნი უნდა შეხვედროდნენ ფინალში, ადგილების საბოლოო განაწილებისათვის.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჯგუფებში გამარჯვებული გამოვიდნენ განათლების მუშაკთა და სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირები. მათ შორის შეხვედრა დამთავრდა განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდის გამარჯვებით. მეორე ადგილზეა სახელმწიფო დაწესებულებათა გუნდი.

ველობოლში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სახელმწიფო დაწესებულებების ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა.

**უ. ჟანტურია**

## პრემია... სპექტაკლის გაცდენისათვის

უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდის „ვერეშ ლობოგოს“ გულშემატკივარია უნგრეთის პოპულარული კომიკოსი სალამონ ბელა. იგი ამ გუნდის არც ერთ თამაშს არ აცდენდა. ერთხელ ამის გამო დიდი უსიამოვნებაც აიტეხა. ბელა ესწრებოდა „ლობოგოსა“ და „ჰონვედის“ თამაშს. პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა „ჰონვედს“ ანგარიშით 5:2. ბელა თამაშზე დასასწრებად მოვიდა მხოლოდ 15 წუთით, რადგან შემდეგ თეატრში უნდა გამოსულიყო.

15 წუთის შემდეგ „ლობოგომ“ მოწინააღმდეგის კარში 2 ბურთი გაიტანა. ბელამ მომაკვდინებელ ცოდვად ჩათვალა ასეთ კრიტიკულ მომენტში თამაშის მიტოვება და მოუთმენლად ელოდა ანგარიშის გაზრდას. ერთი გოლიც რომ გაიტანონ, მაშინ „ჩვენების“ მოგება სავსებით დამსახურებული იქნება, — ფიქრობდა იგი და ვერ შორდებოდა ტრიბუნას.

მალე ჰიდეგკუტიმ მესამე ბურთიც გაიტანა, აღფრთოვანებული ბელა დიდხანს გამოხატავდა თავის სიხარულს...

თეატრში იგი სპექტაკლის დამთავრებისას მივიდა. იმის შესახებ, თუ რა უთხრა მას თეატრის დირექტორმა, ქრონიკა სდუმს. ყოველ შემთხვევაში ბელამ უკანასკნელად მიიღო უფლება გასულიყო სცენაზე. მაგრამ აქ მოხდა საოცრება. ბელამ ისეთ კომიკურ ფორმებში გადასცა მაყურებელს თავისი განცდები და იმ დღის თავგადასავალი, რომ კარგა ხანს მთელი დარბაზი ტაშისაგან ზანზარებდა. მაყურებელი მეტად კმაყოფილი დარჩა.

ბელამ კი წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამ გამოსვლისათვის თეატრის დირექტორისაგან მიიღო... პრემია.

## რეგბის წარმოშობა

ინგლისის ქალაქ რეგბში ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა. გუნდები თანაბარი სიძლიერის აღმოჩნდნენ და ანგარიშის გახსნა ვერც ერთმა ვერ მოახერხა. მაშინ ერთმა მოთმინებადაკარგულმა ფეხბურთელმა, სტუდენტმა უილიამ ვებ ელისმა ბურთს ხელი დასტაცა და მოწინააღმდეგის კარში შეაგდო. ამ შემთხვევამ დიდი ხმაური გამოიწვია. მაყურებელი პროტესტს აცხადებდა ასეთი გოლის ჩათვლაზე.

შემდეგ ამ საკითხზე დაფიქრდნენ და დაასკვნეს, რომ, ფეხბურთის საერთო წესების ამ გამონაკლისის დაშვებით, შეიძლებოდა შექმნილიყო სპორტის სრულიად ახალი სახეობა, რომელსაც მისი შექმნის ადგილის აღსანიშნავად რეგბი უწოდეს.

თამაშის უნებურად შემქმნელს კი სპორტულ მოედანზე დაუდგეს სამახსოვრო დაფა.

## 1958 წლ[illegible]

როგორც ცნობილია, მსოფლიო [illegible] მე-6 ჩემპიონატი ფეხბურთში [illegible] მართება 1958 წელს შვეციაში. შეჯიბრებამ გუნდების სარეკორ[დო] რაოდენობა მიიზიდა. პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა [illegible] მიიღო და დაამტკიცა 53 ქვეყ[ნის] განაცხადი. ჩემპიონატში წარმო[დ]გენილ იქნებიან ევროპის, აზ[იის], აფრიკისა და ამერიკის კონტინენ[ტის] ქვეყნები.

გათამაშების დებულების თა[ნახ]მად ფინალურ თამაშებში და[შვე]ბულ იქნება მხოლოდ 16 გუ[ნდი]. ორი გუნდი მათ შორის უკვე ც[ნო]ბილია. ესენი არიან გერმანიის ფ[ე]დერალური რესპუბლიკის ფეხბ[ურ]თელები (როგორც მსოფლიო ჩ[ემ]პიონი) და შვეციის კოლექტივი [როგორც] ქვეყნის გუნდი, სადაც ეწყობა პი[რ]ველობა). დანარჩენი 14 გუნდი [გამოვლინ]დება შეირჩეს წინასწარი თამაშ[ების] შედეგად. საორგანიზაციო კო[მი]ტეტმა დაადგინა, რომ ამ 14 [კო]ლექტივიდან ევროპას ეძლევა 9 [ად]გილი, სამხრეთ ამერიკას — [3], ჩრდილოეთ და ცენტრალურ ა[მე]რიკას—1 და აზიასა და აფრიკას—[1].

ამის გამო ჩემპიონატში მონა[წი]ლე გუნდები წინასწარი თამაშ[ების] ჩასატარებლად დაყოფილნი ა[რი]ან ქვეჯგუფებად. აი გუნდები, რო[მ]ლებიც მონაწილეობას მიიღ[ებენ] მსოფლიო ჩემპიონის საპატიო [ტი]ტულისათვის გამართულ ბრძოლ[ებში].

**ევროპა.** 27 ქვეყნის კოლექ[ტი]ვი 9 ქვეჯგუფში იბრძოლებს [ფი]ნალში მოსახვედრად. 1. ინგლ[ისი], დანია, ეირე. 2. ბელგია, საფრან[გე]თი, ისლანდია. 3. ბულგარეთი, [უნ]გრეთი, ნორვეგია. 4. გერმან[იის] დემოკრატიული რესპუბლიკა, [ჩე]ხოსლოვაკია, უელსი. 5. ავსტ[რია], ლიუქსემბურგი, ჰოლანდია. 6. [ფი]ნეთი, პოლონეთი, სსრკ. 7. საბე[რძ]ნეთი, რუმინეთი, იუგოსლავია. [8.] იტალია, ჩრდილოეთ ირლანდ[ია], პორტუგალია. 9. შოტლანდია, [ეს]პანეთი, შვეიცარია. ყოველ [ქვე]ჯგუფში პირველ ადგილზე გა[სუ]ლი გუნდი ითამაშებს ფინალ[ში].

**სამხრეთ ამერიკა.** 1. ბრა[ზი]ლია, პერუ, ვენესუელა. 2. არგ[ენ]ტინა, ჩილი, ბოლივია. 3. კოლ[უმ]ბია, ურუგვაი, პარაგვაი. ფინა[ლში] გასვლა აქაც იგივე სისტემით, როგორც ევროპის ზონაში.

**ჩრდილოეთი და ცენტრა[ლუ]რი ამერიკა.** აქ შეჯიბრ[ების] პირობები სხვაგვარია. ჯგუფ[ში] გამარჯვებული გუნდები ([ს]ორი) ხვდებიან ერთმანეთს. მო[გე]ბულს ფინალში მონაწილეო[ბის] უფლება ეძლევა. პირველ ჯგუ[ფში] გამოდიან კოსტარიკა, კიურას[აო], გვატემალა. მეორე ჯგუფში—[აშშ], კანადა, მექსიკა.

**აზია და აფრიკა.** ეს [ორი] კონტინენტი ფინალურ ტურნი[რში] ერთი გუნდით იქნება წარმოდ[გე]ნილი. შერჩევითი თამაშები [მო]ეწყობა ოლიმპიური სისტ[ემით]. დამარცხებული გუნდი კარ[გავს] შემდეგი ბრძოლის უფლებას. [წილი]სყრის შემდეგ ნაკრები კოლ[ექ]ტივები შემდეგნაირად განაწი[ლდ]ნენ: 1. ფორმოზა (ტაივანი) —ინ[დო]ნეზია. ამათ შორის გამარჯვებუ[ლი] შეხვდება ჩინეთის სახალხო რ[ეს]პუბლიკას. 2. ისრაელი—თურქ[ეთი]. 3. ეგვიპტე—კიპროსი, 4. სირია—[სუ]დანი.




## ვაჭრობს სპორტული

## მაღაზია

ამ დღეებში დედაქალაქის ლენინის სახელობის მოედანზე კაპიტალური შეკეთების შემდეგ გაიხსნა თბილუნივერმაღის № 27 სპორტსაქონლის კარგად გაფორმებული მაღაზია. გემოვნებით მოწყობილი ვიტრინები ასობით მომხმარებელს იზიდავს. მაღაზიაში განახლებული დახლები და თაროები სავსეა სხვადასხვა ასორტიმენტის სპორტული საქონლით. აქ შეხვდებით მაღალხარისხოვან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთებს, ინვენტარს სასროლო, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და სპორტის სხვა სახეობათა მოყვარულებისათვის.

მაღალკვალიფიცირებული მომხმარებელს ყურადღებით ეპყრობიან და პირველი მოთხოვნისთანავე აკმაყოფილებენ მათ სურვილს მაღაზიის მოწინავე მუშაკები: ი. ცუზმაშვილი, პ. კიჩიძე, ლ. სტურუა, ი. ჩიჩიკაშვილი და სხვები. ისინი კარგი მუშაობით მომხმარებელთა სიყვარულს იმსახურებენ.

ახლოვდება ზამთრის სპორტული სეზონი. ეს კარგად გაითვალისწინა მაღაზიის ხელმძღვანელობამ და სარეალიზაციოდ საკმაო რაოდენობით შემოზიდა სათხილამურო ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, მაგრამ ჯერჯერობით არა აქვთ თხილამურები. კულტვაჭრობის ხელმძღვანელებს სათანადოდ არ უზრუნიათ თბილისში თხილამურების შემოტანისათვის.

— მიუხედავად მცირე დროისა მაღაზიის ხელმძღვანელობა ყოველ მხრივ შეეცდება დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ყველა კანონ[იერი] მოთხოვნა, მათ შორის საკითხი [თხი]ლამურების შესახებაც. — გვ[ითხრა] მაღაზიის დირექტორმა ბ. რუხა[ძემ]. გახსნის პირველ დღეებში [მაღა]ზიამ ათეულათასობით მან[ეთის] სპორტული საქონელი გაყიდა.

**შ. ქირ[illegible]**

* * *

სურათზე: № 27 მაღ[აზია] გარეხედი.

ფოტო ო. გელაშვილ[ის]

## ინვენტარი

რედაქტორი Ი. ᲣᲖᲣᲚᲐ[ᲕᲐ]

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 06322